ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 12 ოქტომბერი **№ 1608**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვას სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

კონკურსი

ტფილისში, კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის სახელობაზე, სახალხო სახლის პროექტის შესადგენად.

სახალხო სახლის ამშენებელი კომიტეტი აცხადებს კონკურსს ტფილისში სახალხო სახლის აშენებისათვის პროექტის შესადგენად შემდეგ პირობებით:

1) სახალხო სახლის აგება განზრახულია მე-X ნაწილში, ველიკოკნიაჟესკი და კიროჩნი ქუჩების კუთხეში, ადგილზე, რომლის სივრცე 563 ოთხ-კუთხი საჟენი; ადგილი სწორია. ქუჩების სიგანეა, უტროტუაროდ, 5 საჟ.; ტროტუარების სიგანეა 2 არშინი. კიროჩნი ქუჩაზე ფასადის სიგრძე—23,82 საჟ., ველიკოკნიაჟ. ქუჩაზე—23,6 საჟ., ადგილის გეგმა შეადგინა ქალაქის მიწის მზომელმა ლარიონოვმა.

2) სახალხო სახლში უნდა მოთავსდეს: ა) დარბაზი სათეატრო სცენით, 600 კაცზე. სცენასთან უნდა იყოს ყველა საჭირო ოთახი, რომელთაც მოთავსება სცენის ქვეშაც შეიძლება; ბ) ჩაის სასმელი დარბაზი 200 კაცისათვის; გ) სამკითხველო 50 კაცისათვის და მასთან წიგნების საწყობიც; დ) მოსამსახურეთა ოთახები. ამასთანავე პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნას, რომ მომავალში სახლს მიემატება სასადილო ოთახი სამზარეულოთი.

3) სახლის ასაგებად კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა გადასდეს 70 ათასი მან. ფასადი უმთავრესის შესავალით პირდაპირ ქუჩაზე იქნება; მეორე ქუჩის ფასადი-კი ქუჩიდან ოთხ საჟენზე უნდა დაიწიოს, რათა წინ ბაღი გაშენდეს. სახალხო სახლისა და მეზობელ შენობათა საზღვრებს შორის დატოვებული უნდა იქმნას დაწესებულის სიგანის ადგილი ეტლების მოძრაობისათვის.

4) საუკეთესო პროექტების დასაჯილდოებლად კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეები აწესებენ ორ პრემიას: 500 და 300 მანათიანს. ეს პრემიები დაენიშნება განსაკუთრებულ ჟიურის დადგენილების თანახმად. ჟიურის წევრებად არ იქნებიან არც შემომწირველნი, არც სახალხო სახლის კომიტეტის წევრები. ჟიურის დადგენილება საბოლოო იქნება.

5) კონკურსი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც არა ნაკლებ სამის პროექტისა იქნება წარდგენილი; ჟიურის უფლება აქვს არ შეიწყნაროს კონკურსი, თუ ყველა წარმოდგენილი პროექტი უვარგისად იცნო. ჟიურის ნება აქვს 1-ლი პრემია ორ ნაწილად გაჰყოს, თუ ვერცერთს პროექტს ვერ იცნობს 1-ლ პრემიის ღირსად. ჟიურის წევრების ვინაობა გამოცხადდება შემდეგ, როდესაც ისინი დაინიშნებიან.

6) ყველა დაჯილდოვებული პროექტები კომიტეტის საკუთრება იქნება. არა დაჯილდოვებულ პროექტებს, თუ კომიტეტი მოისურვებს, შეიძენს მესაკუთრეებთან შეთანხმებით.

7) 1-ლ დაჯილდოვებულ პროექტის ავტორს, ან თუ მან უარი განაცხადა, მე-2 პროექტის ავტორს კომიტეტი დაავალებს საბოლოო პროექტის შედგენას; შემდგენელს ნება მიეცემა ისარგებლოს ყველა შეძენილ პროექტებით და ვალდებული იქნება შეასწოროს პროექტი კომიტეტის შენიშვნების თანახმად. ამ პროექტის შემდგენელს ჯილდოთ მიეცემა 70 ათას მანეთის 1%. შენობის აგების დროს ტეხნიკურ ზედამხედველობისათვის სპეციალისტს თვით ზუბალაშვილები დანიშნავენ, რომელნიც თავის თავზე იღებენ საქმის სამეურნეო და საფინანსო ნაწილს.

8) საესკიზო პროექტი უნდა იყოს შემდგარი: ფასადებიდან და გეგმებიდან დაწესებული მაშტაბის მიხედვით; პროექტთან ერთად უნდა იყოს მისი წერილობითი ახსნა და მოკლე ხარჯთ აღრიცხვა.

9) კონკურსი მოხდება ქ. ტფილისში; ყველა პროექტები არა უგვიანეს 1902 წ. 2 თებერვლის შუადღის 12 საათისა უნდა წარედგინოს კომიტეტის წევრს თავ. გიორგი მიხეილის ძეს თუმანიშვილს (ბარიათინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი) ყველა გეგმები, ახსნა და ხარჯთ-აღრიცხვა გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული დევიზით ან ნიშნით. იმავე დევიზით ან ნიშნით აღნიშნული დახურული კონვერტი, რომელშიაც უნდა იყოს ავტორის სახელი და გვარი და დაწვრილებითი ადრესი.

10) პრემიები მიეცემა ავტორებს ორი კვირის ვადაზე იმ დღიდან, რა დღესაც ჟიური კომიტეტს გამოუცხადებს თავის დადგენილებას.

11) ჟიურის უფლება აქვს თავის სხდომებზე მიიწვიოს ყველა ის პირნი, რომელთაც სასარგებლოდ სცნობს, მაგრამ მოწვეულთ მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ.

12) კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ ადგილის გეგმის კოპიოსა და სხვა ცნობების მიღება შეუძლიათ თავ. გ. მ. თუმანიშვილისაგან.

13) არა დაჯილდოვებული პროექტები ავტორებს დაებრუნება კონვერტების გაუხსნელად, როდესაც წარმოადგენენ საფოსტო ან კომიტეტისაგან მიღებულ კვიტანციებს. (უ. 3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ბ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—6)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

მთავრობის განკარგულებანი

—

სოხუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლის განყოფილების სასამართლოს ბოქაულს გუბერნსკი სეკრეტარს კ ა ნ დ ე ლ ა კ ს ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა.

სამეურნეო კრებათა გამო

—

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას თან მოჰყვა სხვა-და-სხვა სამეურნეო კრება. დასრულდა მერძევეთა და პირუტყვის მომშენებელთა კრება, დაიწყო შინა მრეწველთა კრება, ამას მოჰყვება მევენახეთა და ღვინის მკეთებელთა, მერე სოფლის მეურნეთა და სხვა კრებები.

პრინციპიალურად, ამ გვარ კრებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. სოფლის მეურნე ან შინა-მრეწველი მოდის ცენტრალურ ალაგას, სადაც შეგროვილან სხვა მეურნე-მოღვაწენიც და სპეციალისტებიც. აქ ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცდასა და დაკვირვებას, თავიანთ ცოდნასა და განზრახვათ; აქ ყოველმხრივ იკვლევენ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის საჭიროებას, სიკეთე-ნაკლულევანებას; აქვე საერთოდ ჰფიქრობენ ამა თუ იმ გაუმჯობესებაზე და საქმის წარმატებისათვის ამა თუ იმ ღონისძიებათა მიღებაზე. ასეთ სჯა-თათბირსა და აზრების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს განმარტოვებულად მომუშავე მეურნისათვის და ამიტომაც ბოლო წლებში მიწად-მოქმედების სამინისტრო სიამოვნებით ხელს უწყობს ამ გვარ კრებათა გამართვას. სამინისტრო, გარდა ამისა, დაინტერესებულია გაიგოს კრების მეოხებით, თუ რა აწუხებს ან რა ახარებს მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, რათა შემდეგ შესაფერი ღონისძიებანი იღონოს...

ასეთია, ვიმეორებთ, პრინციპიალური მნიშვნელობა ამ კრებებისა. მაგრამ აქაც, როგორც ბევრ სხვა საქმეშიაც, პრინციპი და თეორია შორს დგანან პრაქტიკისაგან. ავიღოთ თუნდ ახლანდელი ჩვენი კრებები. თუ დაუკვირდებით, ვინ იღებს მონაწილეობას მათში, თქვენ გაგაოცებს ის გარემოება, რომ ნამდვილი მოღვაწე—სოფლის მეურნე ან შინა მრეწველი კრებაზე არ არის; მის მაგიერ შეგროვილა ქალაქის ინტელიგენცია და ორიოდე სპეციალისტი. იმიტომაც, მათ მსჯელობას უფრო თეორეტიული ხასიათი აქვს; ხოლო პრაქტიკულ მოსაზრებაზე როცა მივა საქმე, დამწერეთ დავთარი ებნევათ და საქმეს თავს ვერ აბამენ.

რით აიხსნება ეს გარემოება? რატომ არ მოდის სოფლის მეურნე ან მრეწველი საზოგადო კრებაზე? თავი და თავი მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი სოფლის საზოგადო კულტურული ჩამორჩენაა. ჩვენი მეურნე და შინა-მრეწველი გაუნათლებელია და შეგნებას მოკლებული. მისთვის ცხადი არ არის საზოგადო კრების მნიშვნელობა, საერთო მსჯელობის საჭიროება და აზრების გაზიარების სარგებლობა. ასე რომ გამოდის ისევ უცნაური circulum viciosus: კრებას მნიშვნელობა აქვს მოღვაწის განვითარებისთვის, მაგრამ თვით კრებას მაშინ ექნება მნიშვნელობა, როდესაც მოღვაწე განვითარებული იქნება...

იმის მიზეზით, რომ ჩვენს ეხლანდელს კრებას სოფლის მეურნე და მრეწველი არ ესწრება, კრებების მნიშვნელობა მეტად მცირდება. თითქმის ერთად ერთი აზრი კრებისა ის-ღაა, რომ თვით ორიოდე სპეციალისტები მოელაპარაკება ერთმანეთს; შეიძლება მათ გამოარკვიონ ზოგიერთი ბნელი საკითხი დ მოსძებნონ საშუალება ამა თუ იმ საქმის გასასწორებლად. გარდა ამისა, ამ კრების სიკეთეს შეადგენს ის გარემოება, რომ მთავრობა, ცოტად თუ ბევრად, ეცნობა სამეურნეო და სამრეწველო საქმეთა მდგომარეობასა და საჭიროებას.

სხვა რომ არაფერია, ესეც მოგებად უნდა ჩავთვალოთ...

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

10 ოქტომბერი

პეტერბურგი. 10 ოქტომბერს პეტერბურგში დაბრუნდა გზათა მინისტრი.

ასხაბადი. მერვში ყოფნის დროს სამხედრო მინისტრი იყო სატუსაღოში, სადაც პატიმართა შორის იმყოფებოდა ექვსი ავღანელი, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ. რადგანაც ჯაშუშობის დამამტკიცებელი საბუთი არ იყო, სამხედრო მინისტრმა გამოუცხადა მათ, რომ ისინი თავისუფალნი არიან და უთხრა შემდეგი: „ავღანისტანს ეწვია მწუხარება, მოკვდა მისი მმართველი აბდურ-რაჰმანი და ტახტზე ავიდა შვილი მისი ხაბი-ბულა. ჩვენ, რუსები, ჩვენს თავს ავღანისტანის მეგობრად ვთვლიდით და გვსურს ეხლაც, მმართველის გამოცვლის შემდეგაც მეგობრები დავრჩეთ; ამიტომ მოგანდობთ თქვენ, გამოეცხადებით თუ არა თქვენს უფროსს, გადასცეთ მას, რაც გაიგონეთ სამხედრო მინისტრისაგან.“

კოპენჰაგენი. კვირას შესდგა გვარდიელ ეკიპაჟის ორკესტრის კონცერტი. მაყურებელი აღტაცებით ისმენდა დაკვრას და გაამეორებინეს ჩაიკოვსკის, გრიგის და გლავაჩის პიესები. დღეს გლავაჩმა გამართა გარმონიუმის კონცერტი; როგორც გლავაჩი, ისე ტენორი ანდრეევი საზოგადოებას ძალიან მოეწონა. მესამე კონცერტი დანიშნულია შემდეგ კვირისათვის.

ქრისტიანია. გაზეთი „ვერდენსგანგი“ იწერება: «ნობელის კომიტეტი გაჩუმებულია შესახებ საერთა შორისო ჯილდოს მშვიდობიანობისა. ამისდა მიუხედავად, აშკარაა, რომ ჯილდოს მიიღებს შვეიცარიელი ექიმი ანრი დიუნანტი. დიუნანტმა მიიღო 37 ხმა. დიუნანტის შემდეგ უმეტესი ხმა მიიღო მშვიდობიანობის მომხრემ ცნობილმა ფრანგმა ფრედერიკ პასსიმ“.

ტამბოვი. კოზლოვის ერობამ მომავალ სმეტაში 400 მან. შეიტანა სასოფლო ბავშვების თავშესაფარის გამართვისათვის და დახმარება სთხოვა საგუბერნიო ერობას.

მოსკოვი. სასამართლო არჩევს გლეხის ქალის ბაბროვას საქმეს. ბაბროვას მოუპარავს მოსკოვის გუბერნატორის ცოლისათვის ძვირფასი ნივთები. ნაფიც-მსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ბაბროვა ქურდობაში, პეტროვი და შესტუნოვა კი ქურდობის დაფარვაში. ბაბროვა ღირსება ჩამოხდილი და რვა ჯერ პასუხის გებაში მიცემული ყოფილა; პეტროვი ყველა უფლება ჩამორთმეული და 6-ჯერ პასუხის გებაში მიცემული; გარდა ამისა იგი ციმბირიდანაც გამოქცეულა; პეტროვის დასჯა მიენდო ციმ-

ბირის მთავრობას. ბაბროვას მიუსაჯეს 3 წლით ციხეში და 4 წლით პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნა; შესტუნოვას მიუსაჯეს 3 თვით ციხე.

ბერლინი. მოსკოვისა და კურსკის რკინის გზის 4$^{0}/_{0}$-იან ობლიგაციების და ლოძის საქარხნო რკინის გზის 4$^{0}/_{0}$-იანისავე ობლიგაციების გამოშვების განცხადება ბერლინის ბირჟის კომიტეტმა კარგად მიიღო.

სენტ-ეტიენი. კომიტეტმა გადასწყვიტა გუშინ მიმართოს მთავრობას წერილით და გადასდოს გაფიცვა; 7 ხმიდან ამ აზრს მიემხრო 4, წინააღმდეგი იყო 2 და ერთიც არც ერთს არ მიემხრო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. საბიუჯეტო კომისიამ ამას წინად დაადგინა სარწმუნოებათა სამინისტროსათვის დანიშნული ხარჯი, 42 მილიონი ფრანკი, ამოიშალოს ბიუჯეტიდანაო, ამასთანავე კომისიამ მიანდო თავის წევრს მომხსენებელს, რომ ეს აზრი პალატასაც მოახსენოს და მოითხოვოს, რომ ხსენებული ხარჯი სამუდამოდ მოისპოს. კომისია ჰფიქრობს, ამ გზით ბიუჯეტში დეფიციტი შეივსებაო, სხვა საფინანსო ღონისძიების მიღება საჭირო აღარ იქნებაო, მაგრამ მთავრობა არ ეთანხმება კომისიას. მინისტრების საბჭომ წარსულ სამშაბათს, ლუბეს თავმჯდომარეობით თათბირი გამართა და გადასწყვიტა: კომისიის აზრი არ შეიწყნაროს და მოითხოვოს, რომ სარწმუნოებათა სამინისტროს შესანახად კვლავინდებურად ხარჯი მოითხოვოს; აგრეთვე მოითხოვოს ხარჯი რომის პაპთან განწესებულ ელჩისათვის და მორეულ აღმოსავლეთში მყოფ სამისიონერო საზოგადოებათათვის.

✡ საფრანგეთსა და ოსმალეთს შუა უთანხმოება ჯერ არ გათავებულა. როგორც სჩანს ამ საგანზე პალატაშიაც ჩამოვარდება ლაპარაკი და კამათი. «ინდეპ. ბელჟ»-ის პარიზელი კორესპონდენტი იწერება:

«მთავრობის მომხრე დეპუტატებიც კი გაკვირვებულნი არიან, რომ საფრანგეთის მთავრობა ყველაფერს უთმენს ოსმალეთს. ოსმალეთის მთავრობასაც ეგ უნდა სწორედ და თავისებურად საქმეს აჭიანურებს. ამ დღეებში, უკიდურეს მემარცხენეთა ერთ-ერთი მეთაური, კამილ პელტანი გარეშე საქმეთა მინისტრს დიდხანს ელაპარაკა და გააგებინა, პოლიტიკურ მეგობრებზე მეტად შთაბეჭდილებას ახდენს ეს საფრანგეთ-ოსმალეთის დავაო. ამავე პელტანმა ტულუზის გაზეთ «დეპეშა»-შიაც წერილი დაბეჭდა და საფრანგეთის მთავრობას საყვედური გამოუცხადა: გაუბედავად იქცევით; პელტანი იმასაც ჩივის, რომ რუსეთი არაფერ დახმარებას არ უწევს საფრანგეთსაო.

მეორეს მხრით, სოციალისტებსაც არ მოსწონთ მთავრობის ქცევა.

მარსელ სემბამ შეატყობინა დელკასეს: საფრანგეთისა და ოსმალეთის შუა მომხდარ თანხმოებაზე მინდა დაგეკითხოთ. სემბა სწერს მინისტრს: «როცა ოსმალეთმა 300-ათასი სომეხი გაწყვიტა, მაშინ საფრანგეთს ხმაც არ ამოუღია, ეხლა კი ვიღაცა მევახშეებისათვის თავი გამოიდოთ. განა ეს საკადრისი საქმეა».

ავსტრ-უნგრეთი. ამ ჟამად გამოირკვა, თუ რომელი დასისა რამდენი წევრია არჩეული ბოჰემიის სეიმში: დიდმა მებატონეებმა—49 კონსერვატორი ჩეხი ფეოდალი აირჩიეს და 21—კონსტიტუციის მომხრე გერმანელი ფეოდალი. გერმანელთ ქალაქებმა და სოფლებმა—25 პროგრესისტი აირჩიეს, 14 ეროვნული დასის მომხრე და 2 პანგერმანისტი, 3 აგრარი და 1 ქრისტიანი სოციალისტი. ჩეხებმა აირჩიეს—66 მლადოჩეხი, 5 პანბოჰემისტი, 17 აგრარი და 2 რადიკალი.

✡ სავაჭრო პალატის პრეზიდენტი მაუტნერი მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს ელაპარაკა და აუხსნა, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგი მეტად სამწუხარო ყოფაშიაო. მაუტნერს ეთქვა: შეიძლება საქმეების წარმოება სულაც შედგეს და დიდ-ძალ მუშა ხალხს სამუშაო მოაკლდესო. მთავრობა, რაც შეიძლება, მალე უნდა მოეშველოს მრეწველობას და საგანგებო თანხიდან სხვა და-სხვა საქმეები შეუკვეთოსო. ამ დღეებში მინისტრები მოილაპარაკებენ, რანაირი დახმარება გაუწიოს მთავრობამ მრეწველობასაო.

ამის თაობაზე «ნოიე ფრაიე პრესსე» სწერს: მთავრობა სხვა-და-სხვა საქმეებს უკვეთავს მრეწველებსაო. თავდა-პირველად ვაგონების და ხიდების ამშენებელ მრეწველებს შეუკვეთენ საქმეებსაო. ამას გარდა დიდ საქმეებს შეუკვეთენ ალპიის მთებში ტუნელების გასათხრელადაო.

ბოლგარია. რამდენიმე კვირის წინად ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე ვიღაცა ყაჩაღებმა ამერიკელი მისიონერი ქალი ბატ. სტონი მოიტაცეს. ზოგი ამბობს, ეს მოტაცება ოსმალელი ყაჩაღების საქმეაო, ზოგი კიდევ იმ აზრისაა, მაკედონელმა რევოლიუციონერებმა მოახდინეს ეს საქმეო. ჯერ ნამდვილად ვერ გაიგეს, თუ ვინ მოიტაცა ეს ქალი. ეს კი ნამდვილია, რომ ყაჩაღებმა გამოაცხადეს: 90-ათასი დოლარი წარმოადგინეთ და ქალი წაიყვანეთო. ამერიკელებმა თითქმის სრულიად შეჰკრიბეს ეს ფული. სადა ჰყავთ დამალული ქ. ბ. სტონი, ნამდვილად არ იციან, ამბობენ, ბოლგარიაში ჰყავთო. ბოლგარიის მთავრობა მხნედა სცდილობს ყაჩაღები დაიჭიროს, მაგრამ ჯერ იმათ კვალსაც კი ვერ მიაგნო. მთავრობას ეშინიან, ვაი თუ ყაჩაღებმა, საქმე რომ გაუჭიროთ, ქ. ბ. სტონი მოკლანო. მაინც ამ ქალსაც მოუწერია სტამბოლში ერთი ნაცნობისათვის: წინად ყაჩაღები კარგად მექცეოდნენ, მაგრამ მას აქეთ, რაც ოსმალელმა ჯარმა დევნა დაუწყო, ყაჩაღები უფრო ცუდად მექცევიანო.

ოსმალეთის მთავრობაც სცდილობს ამ ყაჩაღების დაჭერას, მაგრამ ესეც ვერასა ჰხდება. შეერთებული-შტატების მთავრობა ორივეს ძლიერ ემდურის: ბოლგარიასაც და ოსმალეთსაც.

მაკედონელ რევოლიუციონერებზე, სხვათა შორის, იმიტომაც მიიტანეს გუმანი, რომ მაკედონიის კომიტეტს ფული უჭირდა და ამ ხერხით სწადიათ შეავსონ თავიანთ დაცარიელებული კასსაო.

ავღანისტანი. ამას წინად ავღანისტანის ემირი აბდურახმანი გარდაიცვალა და მის ადგილას მისი ვაჟი-შვილი ხაბიბულა ავიდა ტახტზე. თვითონ ავღანისტანს და მის ემირს მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს საერთა შორისო საქმეებში, მაგრამ ეს ქვეყანა ორი დიდი სახელმწიფოს სამფლობელოს საზღვარზე ძევს. რუსეთისა და დიდი ბრიტანიის იმპერიას ჰყოფს, ამ ორ მძლავრ სახელმწიფოს შუა ბურჯივითა სდგას და ამიტომ ავღანისტანის ემირსაც და მის პოლიტიკასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. წინანდელი ემირი აბდურახმანი ყოველთვის იმას სცდილობდა, რომ თავის ქვეყნისათვის დამოუკიდებლობა შეერჩინა ერთ მოგზაურს ეკითხნა, ვის გირჩევნია, რუსეთი თუ ინგლისიო, ემირს ეპასუხნა: მე ის მირჩევნია, რომ ორივემ თავი დამანებონო. ახალმა ემირმაც გამოაცხადა: მამაჩემის პოლიტიკას არ ვუღალატებო.—ეტყობა, ისიც ეცდება, ინგლისისა და რუსეთის დავით, ჯობრით ისარგებლოს და თავის ქვეყანას თვითმყოფობა, დამოუკიდებელი არსებობა შეარჩინოს. თანაც ხაბიბულამ ორივე მეზობელ დიდ სახელმწიფოს ერთნაირი გულწრფელი მეგობრული გრძნობანი გამოუცხადა.

აბდურახმანი რომ გარდაიცვალა, ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებდა, რუსეთსა და ინგლისს უსათუოდ ომი მოუვათ და ეს ორი მძლავრი აქლემი კოზაკივით გასჭყლეტენ ავღანისტანსაო. ნამდვილად ეხლა კი გადასწყდება დიდი ხნის დავა რუსეთსა და ინგლისს შუაო, ანუ როგორც რუსის პუბლიცისტი იუჟაკოვი ამბობს: «ავღანისტანში გადასწყდება დავა რუსის გლეხკაცსა და ინგლისელ ლენდ-ლორდს შუაო».

უფრო თავდაჭერილი, საქმეში ჩახედული გაზეთები კი ამბობენ: არაფერი ომიც არ იქნებაო; არც ინგლისს, არც რუსეთს ეხლა ომის თავი და გული არა აქვთო. რუსეთი მეტად გაქქსატებულია, ჩინეთის ომმაც კი დიდი წიხლი ჰკრა, ჭირადაც ეყო და ლხინადაც იმის ფინანსებსაო; რუსეთი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი და აღარ იცის, როგორ დააღწიოს თავი ამ საშინელ ფინანსიურ კრიზისსაო. ცალკე კიდევ მოუსავლობამ და შიმშილობამ დამის, პირში სული ამოუხუთოს რუსის ხალხსაო და აბა რუსეთი როგორღა გაჰბედავს ომს მძლავრ, მდიდარ ინგლისთანაო.

ინგლისი კიდევ შეიძლებდა ომს, ფულსაც იშოვიდა და ჯარსაც, მაგრამ ისიც ისე ჩაეფლო, ისე გაება სამხრეთ-აფრიკაში, რომ ახალი ომის გული აღარა აქვსო; თუნდ მთავრობამ მოინდომოს, ხალხი არ მისცემს ნებას, ახალი ომი ატეხოს, ვიდრე ბურებთან ომი არ გათავდებაო.

ამავე აზრისაა გაზ. «ნოიე ფრაიე პრესსე»-ც. ამ გაზეთის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს:

«ავღანისტანში არავითარი შფოთი და არეულობა არ მოხდება და ამიტომ მეზობელ სახელმწიფოებსაც საბუთი არ ექნებათ თავიანთი გულმტკივნეულობა გამოიჩინონ და ავღანისტანს დაუპატრონონო. ამ ბოლოს დროს არც რუსეთს ჰქონია დიდი გავლენა ავღანისტანის მთავრობაზე და არც ინგლისს. ინგლისი წინად ყოველ წელს საჩუქარს უგზავნიდა აბდურახმანს, მაგრამ ამ ბოლოს დროს მოუსპო ფულის გზავნა. ეს ნამდვილი, უტყუარი ამბავია. ერთად-ერთ კაცს შეუძლია ავღანისტანში არეულობა და შფოთი ასტეხოს,—ესაა განსვენებული ემირის ძმა ისაკ-ხანი. ეს კაცი ამ ბოლოს დროს სამარყანდში ცხოვრობს. მცოდნე კაცები ამბობენ: ისაკ-ხანი სულაც არა ჰფიქრობს ავღანისტანის ტახტის დაჭერასაო და თუნდ მოინდომოს, რუსეთი არას დროს არ გაუწევს დახმარებასაო».

ოსმალეთი. გაზ. «ტანი»-ი სწერს: ახალგაზრდა ოსმალთა დასის კომიტეტმა ამ დღეებში დელკასეს ქაღალდი ჩააბარა და გამოუცხადა: ეხლა სწორედ ასლი დროა სამისოდ, რომ ოსმალეთის მთავრობას ძალა დაატანოთ და რეფორმები მოახდენინოთო.

✡ ამას წინად გაზეთებმა დასწერეს: ხონთქარს თირკმელები სტკივაო. ოსმალეთის მთავრობამ გამოაცხადა: ეს ტყუილი ცნობააო. «ბერლინ. ტაგებლატ»-ს მაინც სწერენ კონსტანტინეპოლიდან: «ამ ბოლოს დროს ხონთქარს ძლიერ გაუარესდა თირკმელების ავადმყოფობა. უცხოეთის ექიმები მოიწვიეს სათათბიროდ. ექიმებმა გამოაცხადეს: ავადმყოფობა იმ ზომამდე გაძლიერებულა, რომ ოპერაციის გაკეთება ტყუილი და იქნება. სულ ერთია, აღარას უშველისო.»

ახალი ამბავი

✦ მე-489 ვერსტის პატარა სადგურიდან გვატყობინებენ, რომ 10 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 55 წამზე 59 ვაგონიდან შემდგარი ორ-ლოკომოტივიანი საქონლის მატარებელი რელსებზე გადავიდა. 11 ვაგონი სრულებით დაიმსხვრა. გზა გაკავებულია; მიმოსვლა სრულებით შეჩერებულია, სანამ შემოსარებ გზას არ გააკეთებენ. მიზეზი კატასტროფისა არ იციან. კონდუქტორი დოროგინი დაშავებულია.

✦ პეტერბურგში არსდება ახალი ამხანაგობა, რომელსაც საგნად ექნება რუსეთის **შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა** საზღვარ-გარედ გაზიდვა. ამხანაგობის წესდების თანახმად, რომელიც უკვე წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად, საქმის საწარმოებლად მას ექნება 500 ათას მან. თანხა. ამხანაგობას ექნება განყოფილებანი ლონდონსა, პარიზსა, ვენასა, ბერლინსა და მარსელში.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დასავლეთ და სამხრეთ რუსეთში დიდი მამულები აქვს. რადგანაც სამინისტროს უძნელდება ამ მამულების იჯარით გაცემა, მას განუზრახავს დაჰყოს ყოველი დიდი მამული პატარ-პატარა ნაჭრებათ და ისე აძლიოს ისინი იჯარით უმეტეს ნაწილად გლეხობას.

✦ ტფილისის საბჭოს 8 ოქტომბრის გარდაწყვეტილება ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანისა, ქალაქის დამატებით ხარჯთ აღრიცხვისა და მის შესავსებლად საშუალებათა მიღების შესახებ ქალაქის გამგეობამ უკვე წარუდგინა ამ დღეებში სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

✦ კავკასიის **ექიმთა კრების** ყველა დადგენილება წარედგინება კავკასიის საექიმო სამმართველოს იმ შუამდგომლობათა აღსაძვრელად, რომელიც კრებამ მიიღო.

✦ აბესალომოვის 14 **სტიპენდიებიდან** ტფილისის სასწავლებლებში ამ ჟამად თავისუფალია 3. სტიპენდიანტის არჩევა ქალაქის საქმეა.

✦ სასულიერო მთავრობას, როგორც „კავკაზ"-ი იტყობინება, ბრძანება გაუცია, რომ ბეჯითად ადევნონ თვალყური, თუ **რა წიგნებს ჰკითხულობენ სემინარიელები** სასწავლებლის გარედ.

✦ ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექციის ცნობებით, 1-ლ ოქტომბრიდან 10-მდე ტფილისში 34 კაცი გამხდარა ავად სხვა და სხვა **გადამდებ სენით**; მათგან: ქუნთრუშით—10, ყვავილით—9, ხუნაგით—6, დიფტერიტით—5, წითელათი—3 და ყივანა ხველით—1.

✦ როგორც ამას წინად აღვნიშნეთ, **საქართველოს ეგზარხოსი** ტფილისის გუბერნატორის საშუალებით სთხოვს ქალაქს ადგილს ტფილისის სადგურის ახლო რკინის გზის სამართველოში და სადგურზე მოსამსახურეთათვის ეკკლესიის ასაგებად. ეს თხოვნა გამგეობამ განიხილა გუშინ წინ, 10 ოქტომბერს, და რადგანაც შეკრებილ ცნობებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ მიზნისათვის საბჭომ ლოტკის გორაზე და ნაძალადევში უკვე დასთმო ორი ნაჭერი მიწა ზომით 1700 ოთხ. კუთ. საჟენი და რკინის გზის ლიანდაგის გადმოღმა ქალაქს თავისუფალი ადგილი არა აქვს, დაადგინა წარუდგინოს ეს ცნობები გუბერნატორს და სთხოვოს შეატყობინოს ეგზარხოსს, ამ ცნობების შემდეგ ამ საკითხის საბჭოში განსახილველად წარდგენა საჭირო იქნება თუ არა.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს, სამეურნეო გამოფენათა მოწყობისა და **გაუმჯობესებულ იარაღების დემონსტრაციისათვის**, 35 ათასი მან. კრედიტი აქვს გადადებულ **ხაზინიდან**. ახლა სამინისტროს განუზრახავს ხსენებულ საქმეების გაძლიერება და ამიტომ 60 ათასი მანათის გადადებას თხოულობს.

✦ ბავშვებზე **მზრუნველ საზოგადოების** გამგეობამ გადასწყვიტა გამოსცეს „პაკები" განცხადებებით და გააკრას ისინი რუსეთის რკინის გზებზე. განცხადებების შესაკრებად კავკასიაში გამოგზავნილია ლ. რადმონი. ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ადმინისტრაციას დახმარება აღმოუჩინონ ხსენებულ პირს.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი **ბ. მიცკევიჩი** წავიდა დაღესტანში ადგილობრივ ადმინისტრაციის სარევიზიოდ.

✦ ბრმათა **სამზრუნველოს** კავკასიის განყოფილებას პირველ სექტემბრისათვის ჰქონია კასაში 8015 მან. 77 კაპ. სექტემბრის განმავლობაში შემოსულია 4342 მან. 56 კაპ. სულ 12,358 მან. 33 კაპ. აქედან აღნიშნულ თვის განმავლობაში დახარჯულა 2,750 მან. 15 კაპ. ასე, რომ პირველ ოქტომბრისათვის დარჩენია 9,608 მან. 18 კაპ. საანგარიშო თვის განმავლობაში უწამლიათ 417 ავადმყოფისათვის, სულ წლის განმავლობაში 3,829. სექტემბერში 72 კაცისათვის ოპერაცია გაუკეთებიათ, აქედან 25 იქვე მწოლიისა, ხოლო 47 გარეთ მოსიარულეთათვის.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 10 ოქტომბრის სხდომაზედ გარდასწყვიტა—წინადადება მიეცეს გამგეობის საამშენებლო განყოფილებას მოუმატონ მუშათა რიცხვს წვიმიან დღეებში ქალაქის ქუჩის კარგად გასასუფთავებლად.

✦ გუშინ, ქალაქის თავის მოადგილის მინდობილობით, ტეხნიკ ზურაბიანცმა დაა-

თვალიერა პირველი **ღამის თავ-შესაფარი**, რომლის რემონტსაც უკვე შეუდგნენ. თავშესაფარების კომისიის კიდევ ერთი დაუდევრობა—თავშესაფარის სადგომის დაქირავების ვადა თავდება 1-ლ ოქტომბერს და კომისიას აზრად არ მოსვლია მოლაპარაკებოდა სახლის პატრონს და შეთანხმებულიყო მასთან. აღსანიშნავია აქ ის გარემოება, ამ კომისიის ორი წევრი „ოპოზიციას" ეკუთვნის და ხშირად გაიძახის „უმცროს" ძმის დახმარებაზე. ერთი მათგანი ბ. ბაღდასაროვია, რომელიც „კავკაზსკი ვესტნიკ"-ში ასე გულ მტკივნეულად სწერდა ტფილისის „ტრუშჩობებზე", მეორე კი ბ. ნ. ედ. არღუთინსკი.

✦ ტფილისის პოლიცმეისტრისა და ბ. სტეფანოვის მონაწილეობით **ტეხნიკურმა კომისიამ** დაათვალიერა ისარლოვის სახლი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და სახლის სიძველისა გამო საჭიროდ დაინახა მდგმურების იქიდან გამოყვანა. კომისიამ წინადადება მისცა სახლის პატრონს გადააკეთოს სახლი, მაგრამ ისე კი, რომ მას ჰქონდეს ეზო და კანალიზაცია.

✦ ქალაქისა და გუბერნიის **ტეხნიკების კომისიამ** გუშინ-წინ დათვალიერა ტერუნოვის (წინეთ შიანელის) სახლში დუქანი პუშკინის ქუჩაზე და საჭიროდ სცნო ამ დუქნის გადაკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უნდა სულ დაიხუროს.

✦ **სომხთა სემინარიის** მთავრობას გადაუწყვეტია გადააკეთოს საკუთარი სახლი სალდათის ბაზარზე. გადაკეთებულ შენობაში გამართული იქნება სხვა-და-სხვა მაღაზიები, სამაგალითო სარდაფები და საყინულეები. ეხლა სახლი იძლევა 16 ათას მანეთს შემოსავალს წლიურად.

✦ **პირუტყვთა მფარველი** საზოგადოება სთხოვს თფილისის ქალაქის გამგეობას გააკეთებინოს ტრამვაის გამგეობას ვერის ხიდთან ფარდული ცხენებისათვის და ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რის გამოც ვაგონები, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში, ავსებულია ხალხით და საბრალო ცხენები გაჭირვებით მიათრევენ მათ.

✦ სადგურ უჯარიდან გვატყობინებენ, რომ 10 ოქტომბერს მგზავრთა მატარებელმა №-3 ქვეშ მოიტანა და გასჭყლიტა ვიღაც უცნობი ქალი.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგის ალექსანდრე ი. ივანოვის სახლის შესავლიდან, ტურგენევის ქუჩაზე, ღამით 9 ოქტომბერს ვიღაც ბოროტ-განზრახველს მოუპარავს 3 პალტო გიმნაზიელისა, ღირებული 90 მან.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე, დიმიტრი ბოროდინის სახლის შესავლიდან ვიღაც ბოროტ განმზრახველთ 10 ოქტომბერს მოუპარავთ ორი პალტო 130 მან. ღირებული.

✦ შაბათს, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე „დვორცოვის ნომრების" პატრონის საგათელოვის ბინიდან მის შინ არყოფნის დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს სხვა და სხვა ოქროსა, ვერცხლისა და ბრილიანტის ძვირფასი ნივთები 685 მან. ღირებული და ფულად 550 მან. სულ 1235 მან. საგათელოვს ეჭვი ქურდობაში განუცხადებია თავის მსახურს სპარსეთის ქვეშევრდომს ხაჩატურ აბრამოვზე, რომელსაც ვითომც ეს ბოროტ-მოქმედება უნდა ჩაედინოს სახლის დასუფთავების დროს. აბრამოვი დააპატიმრეს.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში, 9 ოქტომბერს, ერევნის გუბერნიის მცხოვრებს სამსონ ალაევს განუცხადებია, რომ მას მოტყუებით ვიღაც ორმა უცნობმა კაცმა 862 მან. მოჰპარა; ალაევის სიტყვით, ერთი იმ ქურდთაგანი ტფილისის მცხოვრები ვასილ-ჯეირანოვი უნდა იყოს. ჯეირანოვი უკვე დაუპატიმრებია პოლიციას. მეორე დღეს ალაევს გამოუცხადებია, ფულები 862 მანეთი კი არა 362 მან. იყოო. ჯეირანოვმა კი არა, ახალ ციხის მცხოვრებმა მიკიჩ ალექსანდროვმა და ოდანეზ სარქისოვმა წაიღესო. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ ალაევს მხოლოდ 61 მან. 10 კაპ. დაჰკარგვია.

კავკასიის გამოფენა

გუშინ-წინ სხდომა ჰქონდა კავკასიის გამოფენის კომიტეტს სხვა-და-სხვა კითხვების განსახილველად. პირველად კომიტეტმა გადასწყვიტა სთხოვოს მიწად-მოქმედების მინისტრს გამოფენის 20 ნოემბრამდე განგრძობის ნებართვა.

სახალხო კითხვების კომისიის თხოვნის გამო გამოფენის თეატრის უსასყიდლო დათმობაზე, კომიტეტმა დაადგინა გადასცეს ეს თხოვნა სამეურნეო საზოგადოებას, როგორც პატრონს ამ შენობისას.

როგორც ვიცით, გამოფენის რესტორანის პატრონი სხირტლაძე თხოულობდა კომიტეტისაგან 600 მანეთს იმ ზარალში, რომელიც მას მოუვიდა ელექტრონის განათების უვარგისობის გამო. კომიტეტმა კანონიერად სცნო ეს პრეტენზია და დაადგინა გადაახდევინოს ეს 600 მანეთი განათების მომწყობს ინჟენერ რაგოლერს.

თანახმად გამოფენის ფოსტის განყოფილების მოხელეთა თხოვნისა, კომიტეტმა გადასწყვიტა აძლიოს მათ დღეში თითო მანეთი საკანცელარიო და სხვა წვრილმან ხარჯებისათვის.

ფრინველების განყოფილების საექსპერტო კომისიამ სთხოვა კომიტეტს ფრინველების გამოფენის მეორედ გამართვა, რადგან ბევრმა მსურველთაგანმა ვერ მოასწრო გამოფენაში მონაწილეობის მიღება. კომიტეტმა შეიწყნარა ეს თხოვნა და დანიშნა ფრინველების მეორედ გამოფენისათვის ვადა 15 ოქტომბრიდან 20 მდე.

ბოლოს კომიტეტმა განიხილა გამოფენის განყოფილებათა გამგეების განცხადება. გამგეები თხოულობდნენ ნებართვას ამოიტანონ გამოფენიდან გაფუჭებული ექსპონატები. კომიტეტმა ნება მისცა როგორც ასეთის ექსპონატების გატანისა, აგრეთვე ისეთებისაც, რომელთაც ექსპერტიზა უკვე გაკეთებული აქვთ.

კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოფენაზე უნდა გაიმართოს „ყვავილების დღესასწაული", როგორც კი კარგი ამინდები დადგება. შესასვლელი ფასი ამ დღესასწაულის დროს იქნება 40 კ.

* *

გუშინ ბეჭდვითი განყოფილების საექსპერტო კომისია შეუდგა თავის საქმეს. კომისიის წევრები არიან, სხვათა შორის, გენერალი კულბერტი და სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი.

* *

გუშინ შეუდგნენ სამთა-მადნო განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზას.

* *

დღეს გუბერნიის მეხანიკი ბ. ხელიმსკი გამოსცდის თავის ორთქლის ქვაბსა და ბუხარს. გამოცდას დაესწრება გამოფენის ტეხნიკურ განყოფილების საექსპერტო კომისია.

* *

გამოფენის კომისარი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს შვიდ-შვიდ კაპეიკს კაცის თავზე იუბილეიზე ჩამოსულ სოფლის წარმომადგენლების გამოფენასე ყოფნისათვის.

* *

გამოფენის კომიტეტმა გამოსცა სანიტარო-საჰიგიენო განყოფილების კატალოგი.

შინად მრეწველთა კრება

(9 სექტემბრის სხდომა)

შემდეგ ბ-ნმა სულტან კრიმ-გირეიმ მოკლედ აცნობა კრებას, თუ როგორ აქვთ სპარსეთში—სულთანაბადში ხალიჩების სახელოსნო მოწყობილი ინგლისის ვაჭრებს ციგლერის ფირმით. რადგანაც გამოირკვა, რომ ეს სახელოსნო თუმც სარგებლობას დიდს უწევს ადგილობრივ მცხოვრებთ, მაგრამ ვაჭრულ ნიადაგზე არის დაყენებული, ამიტომ კრებამ გამოსთქვა, ჩვენში თუ ამ გვარი რამე გაკეთდეს, სულ სხვა რიგად უნდა იქნეს მოწყობილი, რომ მისგან ხალხი არ იყვლიფებოდეს და ცოდნას იძენდეს.

დასასრულ თავმჯდომარემ ბ-ნმა ფირალოვმა თვის მოხსენებაში აღნიშნა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში მეტად ვიწრო და პატარა ხალიჩებს აკეთებენ, ხოლო ევროპაში მოთხოვნილება უფრო ისეთ ხალიჩებზეა, რომელნიც საცხოვრებელ სახლების ერთიან საფენებად ჰყოფნითო. მანვე კრებას წარუდგინა ევროპის ბაზრის გემოს ხალიჩების სურათები განსახილველად და განაცხადა, რომ, რადგანაც ადგილობრივი ძველი სტილი ხალიჩების კეთებისა არამც თუ ჩამოუვარდება, უკეთესიც არის ზოგიერთ ამ ნიმუშებზე, ამიტომ სასურველია ნაკლებად ისარგებლოს ჩვენებურმა მეხალიჩე შინად მრეწველებმა ევროპის ბაზრის გემოს სურათებით და უმთავრესი ყურადღება მიექცეს ჩვენებურ ძველებურ სტილის წამოყენება-გაუმჯობესებას ხალიჩების კეთების დროს. კრება დაიხურა ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე. გაგრძელება სხდომისა მეორე დღისათვის გადაიდო. ამ კრებას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

10 ოქტომბერი

შინად-მრეწველთა მეორე სხდომაზე წაკითხულ იქმნა სამი მოხსენება. პირველად წაიკითხა ავეტ. ა. ქალანთარმა, რომელმაც დაასახელა სამი უმთავრესი საშუალება ხალხში შინად მრეწველობის განვითარება-წარმატების შესახებ. თუმცა მომხსენებელი დიდს მნიშვნელობას აძლევს სპეციალურ სკოლას ხალხში ტეხნიკურ ცოდნის გასავრცელებლად, მაგრამ, მისის მოსაზრებით, დღეს ასეთ სკოლებს ნიადაგი არა აქვს შემზადებული და კიდეც რომ გვქონდეს საშუალება და დაავარსოთ ასეთი სკოლები, მაინც ნაყოფიერს შედეგს ვერ მივიღებთ, თუ თვით ხალხმა არ შეიგნო მისი აუცილებელი საჭიროება და საერთო ძალით არ შექმნა ისეთი დაწესებულება, რომელიც ცოდნას მოჰფენს ხალხში. ვიდრე ხალხი ასეთი შეგნებული და თვით-ცნობიერი გვეყოლებოდეს, ჩვენ მისთანა საშუალებას უნდა ჩავსჭიდოთ ხელი, რაც დაგვეხმარება ხალხში აღნიშნულ ნიადაგის შესაქმნელად; პირველ ასეთ საშუალებად, მომხსენებლის აზრით, აღიარებულ უნდა იქნას ხალხში ინსტრუქტორების ანუ სახალხო მასწავლებელთა გაგზავნა, რომელნიც პრაქტიკულის რჩევა-მოლაპარაკებით ნელ-ნელა შეამზადებენ ხალხს და გამოიწვევენ მათში სურვილს ამა თუ იმ ნაწარმოების საუკეთესო საშუალებებით მომზადებისას. როცა ინსტრუქტორებს ამოდენა მნიშვნელობას ვაძლევ—სთქვა ქალანთარმა, არ უარვყოფ იმასაც, რომ ზოგიერთ ადგილებში საზოგადო სკოლებისათვისაც არის ეხლა დრო, თუ რიგიანად იქნება მათი იქ მოწყობის საქმე დაყენებული.

არა ნაკლებ მოგვეხმარება ხალხში ცოდნის გასამტკიცებლად სამრეწველო მუზეუმი, რომელიც მუდმივი გამოფენა იქნება, სადაც ხალხს თვალწინ ექნება საუკეთესო ნაწარმოებთა ნიმუშები ასეთ მუზეუმებს დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხისთვის მოსკოვში, ვოლოგდაში, ვლადიმირში და სხვ. ამ მუზეუმებიდან ხალხს აწვდიან თესლებს, სურათებს, ნიმუშებს და სხვა-და-სხვა საჭირო ცნობებს; შემდეგ მის დროზე ხალხს ნაწარმოებს ჩამოართმევენ და კარგს ფასად უსაღებენ.

მესამე საშუალებად შეიძლება დავასახელოთ სავაჭრო საწყობები. აქ უნდა მიღებულ იქმნენ თვით მრეწველთაგან ნაწარმოებები და შემდეგ პირდაპირ მომხმარებელზე გასაღდეს. ასეთი საწყობები შეიძლება ისე მოეწყოს, რომ იქიდან ხალხს სესხი ეძლეოდეს, მასალას აწოდებდნენ, მატყლს ულებავდნენ და სხვანი. უმთავრესი მნიშვნელობა ამ საწყობებს იმ მხრითაც ექნება, რომ მათი საშუალებით ხალხს დავიხსნით ვაჭრების კლანჭებისაგან.

ამ რიგად, მომხსენებლების აზრით, ჯერ ჯერობით შინად მრეწველობის განმტკიცება-წარმოებისათვის საჭიროა ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, სავაჭრო მუზეუმი, საწყობები და ადგილობრივ სახელოსნო სკოლები.

მეორე მოხსენება—კნ. მ. მ. თუმანიშვილისა—შეეხებოდა ტფილისში ცენტრალურ ხალიჩების საკეთებელ სკოლის დაარსებას. მისის აზრით, ასეთ სკოლაში უნდა მიიღებოდნენ ბავშვები არა ნაკლებ 10 წლისა. სწავლა გაგრძელდება 2 წლით; ეს სკოლა უნდა იქმნეს მიწად-მოქმედების სამინისტროს უწყებაში და განაგებდეს კავკასიის შინად მრეწველთა კომიტეტის დანიშვნით განსაკუთრებული ზედამხედველი; ამ სკოლაში უნდა ასწავლიდნენ მატყლის დამზადებას: წეწას, ჩეჩას, რთვას, ქსოვას, ღებვას, ანგარიშს და სხვ.; დაახლოვებით, სკოლის მოწყობისათვის საჭიროა 2,000 მან. და შემდეგ ყოველ წლობით შესანახი ხარჯი 8,000 მან.

მესამე მოხსენება წაიკითხა ავ. ი. სააკოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ შინად-მრეწველობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიან ადგილებში, სადაც მცხოვრებნი მიწის მუშაობით, სხვა-და-სხვა პირობების გამო, ვერ დაკმაყოფილდებიან. მთა-გორიან ადგილებში ამისათვის მასალა დიდია: მაგ., ყოველ წლობით 600,000 ფუთი მატყლი მოდის ჩვენში; ამის ნახევარს, რადგანაც ადგილობრივად მატყლის შემუშავება არ არის მოწყობილი, ხალხი საზღვარ-გარეთ გზავნის. საზოგადოდ, მომხსენებელი თანახმაა ავ. ქალანთარის მოსაზრებისა ინსტრუქტორებით, სკოლით, მუზეუმ-საწყობით ხალხში შინად-მრეწველობის განმტკიცების და წარმატების შესახებ, ხოლო, მისის აზრით, ყოველივე ეს არ კმარა.

შინად-მრეწველობა მაშინ უფრო არის შესაძლებელი წამოდგეს ფეხზე და დაადგეს წარმატების გზას, როცა თვით საზოგადოება ხელს შეუწყობს მას როგორც მატერიალურად, აგრეთვე სხვა მხრითაც. რუსეთის იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა შემოღებული, დიდი ყურადღება არის მიქცეული ამ უკანასკნელისაგან შინად მრეწველობის წარმატებაზე. საშუალო რიცხვით, თითოეული საერობო დაწესებულება არა ნაკლებ 8,000 მან. ხარჯავს ყოველ წლობით ამ საქმეზე. მთელი რუსეთის ერობა წლიურად 200,000 მან. ხარჯავს რუსეთში შინად მრეწველობის წამოსაყენებლად და გასაუმჯობესებლად. რადგანაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერობას სხვა მხრივაც, მე მითხოვო, სთქვა მომხსენებელმა, შინად-მრეწველთა კრება მიემხროს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობას ჩვენში ერობის შემოღების შესახებო.

თავმჯდომარემ დააყენა შემდეგი საკითხი: რა დახმარებას გაუწევს საზოგადო სკოლა ხალხში ტეხნიკურ ცოდნის გავრცელების საქმეს? ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. ბ-ნთ ავ. ქალანთარისა, მკურნალისა, ქუთათელაძისა, და სააკოვის აზრით, საზოგადო სკოლა სპეციალური განყოფილებით დიდს დახმარებას გაუწევს ხალხში ცოდნის გავრცელების საქმეს, თუ იქ რიგიანად იქმნა მოწყობილი საქმე; ხოლო ბ. ტუსკაევის, გ. გძელიშვილის და ზავაროვის აზრით, საზოგადო სკოლებზე დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება, რადგანაც რაც მათ აქვთ დავალებული, მასაც ძლივს ასწრებენ და ამიტომ, მათის აზრით, სპეციალური სახელოსნო სკოლები უნდა იქმნეს დაარსებული. დასასრულ კრება ამ საგნის შესახებ შემდეგ მოსაზრებას დაადგა: სოფლის საზოგადო სკოლას, თუმცა არა სისტემატიურად, მაგრამ მაინც კარგი დახმარება შეუძლია გაუწიოს ხალხს ტეხნიკურ ცოდნის გავრცელების საქმეში. დიდი კამათი გამოიწვია საკითხებმა ცენტრალურ და ადგილობრივ სპეციალურ სკოლის დაარსებისა და ინსტრუქტორთა ინსტიტუტის მოწყობის შესახებ. კრებამ ხმის უმეტესობით ხალხში ტეხნიკურ ცოდნის გასავრცელებელ საშუალებად იცნო: პირველად ინსტრუქტორთა გაგზავნა, მეორედ—ადგილობრივ სკოლებში და სპეციალურ სასწავლებლებშიაც ტეხნიკურ საგნების სწავლება და მესამედ—ცენტრალურ, სპეციალურ სატეხნიკო-სახელოსნო სკოლების დაარსება.

პროვინცია

ქ. ქუთაისი. ქუთაისის ერთ მივარდნილს და სრულიად მივიწყებულ კუთხეს, მიუცილებლად, შეადგენს ეგრედ წოდებული არქიელის სერი, ანუ ახიმერონის მთა, რომელიც ძევს მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე. აქ მცხოვრებთა რიცხვი, სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, სამი ათასზე მეტი მაინც იქნება და ამოდენა ხალხს ბაზართან და ქუთაისის სხვა-და-სხვა სამოქალაქო და სახელმწიფო დაწესებულებასთან მიმოსვლა მეტად გაჭირვებული აქვს უგზოობისა გამო. ნუღარას ვიტყვით მასას, რომ აქედან აუარებელი მოსწავლე ვაჟი და ქალი დადის ყოველ დღე სასწავლებლებში, რომელნიც ქალაქის შუაგულ ადგილზე არიან მოთავსებულნი და ამ მოსწავლეების საცოდაობას ამ ნიაღვრების და ქარების დროს ყურადღებას არავინ აქცევს. რა საცოდაობა უნდა დატრიალდეს ამათ თავზე ზამთარში, როდესაც ატყდება თოვლ-ჭყაპი და ყინვები? მართალია, ამ რამდენიმე წლის წინად ნეტარხსენებულის გაბრიელის სახელზე მშვენიერი გზა გაიყვანეს ამ მთაზე და ქალაქმაც საკმაო ფული დახარჯა ამისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ ეს გზა სრულებით არა სწვდება წმიდა გიორგის ეკკლესიის მრევლს და, მეორეც, ეს გზაც წლევანდელ ნიაღვრებმა სულ ერთიანად ჩახრამ-ჩაღრმავა და ისე გაათხრა, რომ ეტლებს მასზე სიარული ძლიერ უჭირთ. უფრო მცხოვრებლებიც და მოსწავლე ყმაწვილებიც დადიან საცალფეხო ბილიკებზე, რომელნიც თავ-დაღმა საშინლად არიან დაქანებულნი. თხებივით მიხტი-მიხტიან ზედ და ბევრნი, რომელთაც გაწვრთნილი და გავარჯიშებული მუხლები არა აქვთ, ძირს ეცემიან და თავ-პირს იღეწენ. ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ამ ბილიკზე ბრძენ კაცს ფეხი დასხლეტია და, კლდიდან გადმოვარდნილი, საუკუნოდ გამოსთხოვებია ამ წუთისოფელს.

მეორე გზა ამ მთაზე მიდის წითელი ხიდიდან წმიდა გიორგის ეკკლესიისაკენ, მაგრამ ამ გზაზე არა თუ ეტლები და ურმები, ქვეითა მოსიარულე კაცისთვისაც დიდი გასაჭირია ღდათ სიარული, რადგან გზა სულ ერთიანად გაფუჭებული, დაორღო-ჩოღროებული და ჩახრამულია ყოველგან. წვიმების დროს ამ გზაზე მთიდან მოხეთქილი ნიაღვარი ისეთი ძლიერებით მოვარდება, რომ მაყურებელს გააკვირვებს მისი შეხედვა. წრეულს მაინც ეს გზა გადაიქცა მუდმივი წვიმების გამო აღელვებულ მდინარის კალაპოტად და, მაშასადამე, ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ყოფაში იქნება დღეს ეს გზა; მართალი მოგახსენოთ, გზა კი არა, უფრო ნაგზაურს წარმოადგენს, თუ ამ მთაზე მცხოვრებმა ხალხმა რამე არ ითავა და როგორმე ეს ნაგზაური არ გააკეთა...

ამ უგზობის გამო ზარალი დიდი აქვსთ ამ მთის მცხოვრებლებს... და ამ ზარალის დასახელების მაგალითისთვის შორსაც არ წავალთ.

4 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, თვით წმ. გიორგის ეკკლესიის გვერდით, აქაური მცხოვრების—გობეჩავაძის ახლად აშენებულს სახლს ბუხრიდან გაუჩნდა ცეცხლი და იქიდან მოედვა გვერდშივე მიდგმულს ქვით-კირის სახლსაც და სულ ერთიანად გადაიბუგა. უგზო-უკვლობისა გამო ცეცხლის მქრობელი რაზმი ძლივს ამოვიდა მაშინ, როდესაც სახლები უკვე გადამწვარი იყო. რაზმი მოსვლისთანავე შეეცადა ცეცხლის გაქრობას და ამით იხსნა სხვა სახლებიც ცეცხლისაგან, რომელსაც შეეძლო ბევრი სახლები ემსხვერპლა და დიდი უბედურება დატრიალებულიყო. მიიღეთ მხედველობაში, რომ ქარიც ჰქროდა ცოტათი და წყალი კი არსად იშოვებოდა.

როგორც გავიგე, პატრონს სახლი არც ერთს საზოგადოებაში არ ჰქონია დაზღვეული და, მაშასადამე, მთელი ზარალი, სულ უკანასკნელი 4,000 მანეთი ასე მოულოდნელად თავზე დაატყდა მას. მე დარწმუნებული ვარ, გზა რომ კარგი ყოფილიყო ამ მთაზე, ცეცხლის მქრობელი რაზმიც (რომელსაც, ფრჩხილებში უნდა შევნიშნოთ, ცხენები სრულებით არ ჰყავს) მალე გაჩნდებოდა, წყალიც მდ. რიონიდან დროზე იშოვებოდა და სახლის პატრონს ქვით-კირის სახლი მაინც გადაურჩებოდა ცეცხლისაგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არქიელის სერზე სცხოვრობს ბევრი ნასწავლი მოხელე, მასწავლებლები, მღვდელნი და სხვა შეგნებული პირნი, რომელნიც თუ ერთი-ერთს შორის ძმურად და თანხმობით მოილაპარაკებენ და ითავებენ გზის გაკეთებას, უეჭველად მთაზე დასახლებული ხალხიც საჭირო ფულს გამოიღებს და ამ ყოვლად საჭირო გზას გააკეთებს,

—ფ.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 ოქტომბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს მდივანი პლევე დაბრუნდა და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

ბერლინი. გუშინ 11 საათზე გარდაიცვალა რეიხსტაგის წევრი სიმანსი გერმანიის ბანკის დირექტორად ნამყოფი,

კონსტანტინეპოლი. 10 ოქტომბერს შეიკრიბა კომისია სულთანის თანადასწრებით და ალეპოს გუბერნატორად ნამყოფის რაიფა ფაშის თავმჯდომარეობით; კრებას უნდა განეხილა საფინანსო უწყების საქმის მდგომარეობა.

ოდესა. 10 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა ოდესის ახალი სავაჭრო-სამრეწველოს და სახელოსნო საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.

მოსკოვი. სამაზრო საერობო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ მას მიეცეს ნება დაიწყოს თავისი კრება დანიშნულ დროზე უფრო ადრე და გაათავოს უფრო გვიან, რადგანაც რთული სამეურნეო საკითხები აქვს გადასაწყვეტი.

იმავე კრებამ გადასწყვიტა ერობაში მსახურთა შვილების აღსაზრდელად გადასდოს ათასი მანეთი.

პარიზი. კონსერვატიულ გაზეთებმა, რომელნიც ამას წინად პარტიულ მოსაზრებათა გამო წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთთან კავშირისა, აზრ გამოიცვალეს, რაც გამოიწვია ხალხის აღტაცებამ რუსეთის ხელმწიფის და დედოფლის საფრანგეთში მობრძანებისა გამო. მაგალითად, როიალისტების გაზეთის „სოლეილ“-ის შემდეგ ბონაპარტისტების გაზეთის „ოტორიტეს“ ცნობილმა რედაქტორმა კასანიაკმა დაბეჭდა მოწინავე წერილი ამ სათაურით „საფრანგეთი და რუსეთი“, რომელშიაც ეს გამოჩენილი მწერალი და დეპუტატი ამბობს შემდეგს: „როგორც ყოველთვის, ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ რუსეთთან კავშირის შეწყვეტა დიდი უბედურება იქმნება საფრანგეთისთვის. ვიმეორებთ, მხოლოდ ამ კავშირს შეუძლიან გადაარჩინოს საფრანგეთი საშიშარ მარტოობისაგან და კიდევაც გვიშველა ახალშენების გაფართოების საქმეში“.

თუმცა საფრანგეთისა და ოსმილეთის შუა უთანხმოებაში ცვლილება არა მომხდარა, მაგრამ დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ, რომ საქმე მალე გათავდება და ოსმალეთის წინააღმდეგ დემონსტრაცია საჭირო აღარ იქნება.

პეტერბურგის ბირჟა 10 ოქტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75
ბერლინზე 100 მარკაში.	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,57½
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა. . . .	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . : .	439 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	329 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	239 მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87¾ „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89⅜ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი
ალ. ჭყონია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავროსგადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1901 წლის, 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით შემდეგი საქმეები ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო რაიონში:

1) რგანის გზა-ტკეცილის გაკეთება, 3332 მან. 70 კაპ.

2) სამრეწველო გზების შეკეთება 2056 მან. 80 კაპ. სულ საქმეების ღირებულება 5,389 მან. 50 კაპ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს 5% საქმეების ღირებულებისა ან ნაღდ ფულად, ან სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სარგებლიანის ქაღალდებით. ვაჭრობის შედეგი კრების საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

ხარჯთ-აღრიცხვის, გეგმისა და პირობების გასინჯვა შეიძლება საბჭოს სადგომში ყოველდღე. (ნ. 3—1)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40

ბრძყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30

ივდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30

ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—32)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი. დამატებით — 5 კაპ.

ბალანსი ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ბანკისა 1 ოქტომბრისთვის 1901 წლისა

ბანკმა დაიწყო მოქმედება 2 ივლისს 1901 წ.

აქტივი.

		მანეთი.	კაპ.
I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები და ნაღდი ფული)		4975	64
II. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორ კაცს უწერია ხელი.		35975	
III. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწ. და მთავრობის მიერ უზრუნველყოფ. ფას. ქაღ .	300— „		
ბ) მარგანეცის პლასტზედ . .	5261—41	5561	41
IV. მოწყობა-მომართვა სადგომისა . . .		1068	19
V. დასაბრუნებელი ხარჯი		160	20
VI. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით. . . .	19712—59		
ბ) ჩვენის ანგარიშით	3469—75	23182	34
VII. გერბის გადასახადის დ თამასუქის ქაღალდი.		326	40
VIII. გარდასაცემი თანხა		327	94
IX. მიმდინარე ხარჯი		2996	82
X. ხარჯი, რომელიც მოუვიდა ბანკს მარგანეცის პლასტის დაგირავების გამო. . . .		448	72
ბალანსი . .		75022	66

პასსივი.

		მანეთი.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ 10% ხვედრი ფულისაგან		18290	
II. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით. .	34669—76		
ბ) ვადით	8300— „	42969	76
III. გარდასაცემი თანხა		—	—
IV. გასაგზავნად შემოტანილი ფული . . .		437	—
V. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით . . .	2628—50		
ბ) ჩვენის ანგარიშით . . .	8580-93	11209	43
VI. სახელმწიფო 5% გარდასახადი			87
VII. მიღებული სარგებელი.		2115	60
ბალანსი. . .		75022	66

პასუხის მგებლობა 158 წევრისა 10% შემოსატანის გარდა . . . . 164610 „

საზოგადოებას აქვს:

თამასუქები საკომისიოდ. . . — „

ფასიანი ქაღალდ. საკომისიოდ. 1600 „

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.